პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

3 ნოემბერი კვირა 1968

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი • № 259 (14255)



ეს სურათები გადაღებულია 1 ნოემბერს მოსკოვში კოსმოსის გმირის გ. ტ. ბერეგოვოის საზეიმო შეხვედრის დროს. მარცხნივ — გ. ტ. ბერეგოვოი ვნუკოვოს აეროდრომზე მოახსენებს პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს, რომ ხომალდ „სოიუზ-3“-ით ფრენა წარმატებით დამთავრდა; მარჯვნივ — კოსმონავტი მფრინავი უკასუხებს მოსკოველთა მისალმებაზე.

ᲓᲘᲓᲘ ᲒᲛᲘᲠᲝᲑᲘᲡ ᲐᲚᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲐᲓ

ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲝᲑᲐ ᲙᲠᲔᲛᲚᲨᲘ

1 ნოემბერს კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მთავრობის სახელით მოეწყო დარბაზობა იმ მეცნიერთა, კონსტრუქტორთა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა და მუშათა დიდი გმირობის პატივსაცემად, რომლებმაც უზრუნველყვეს ხომალდ „სოიუზ-3“-ით კოსმოსური ფრენის წარმატებით განხორციელება, და კოსმონავტი მფრინავის გ. ტ. ბერეგოვოის პატივსაცემად.

კრემლის ყრილობათა სასახლის საბანკეტო დარბაზში შეიკრიბნენ პარტიული, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწენი, საბჭოთა კავშირისა და ჯარების გვარეობათა მარშლები, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, საბჭოთა კავშირის გმირები და სოციალისტური შრომის გმირები, ცნობილი მეცნიერები, კულტურის მოღვაწენი.

სტუმართა შორის იყვნენ აგრეთვე საბჭოთა კავშირში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

დარბაზში სუფევდა მხიარული გამოცოცხლება, ის სიტყვით გამოუთქმელი საერთო აღმავლობა, რასაც ყველა განიცდის დიდი საერთო-სახალხო ზეიმის დღეებში.

შეკრებილნი მქუხარე ტაშით შეხვდნენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებს. მათთან ერთად იყვნენ გიორგი ტიმოთეს-ძე ბერეგოვოი და კოსმოსის სხვა გმირები.

სკკპ. ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ წარმოთქვეს სადღეგრძელოები ჩვენი დიადი სამშობლოს, საბჭოთა ხალხის საღიდებლად, საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი წარმატებების მისაღწევად, კოსმონავტი მფრინავის ორგზის საბჭოთა კავშირის გმირის, ავიაციის გენერალ-მაიორის გ. ტ. ბერეგოვოისა და მისი ოჯახის პატივსაცემად.

ამ სადღეგრძელოებს შეკრებილნი მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

დარბაზობამ უაღრესად გულთბილ და გულითად ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

გ. ტ. ᲑᲔᲠᲔᲒᲝᲕᲝᲘ ᲔᲜᲐᲙᲘᲔᲕᲝᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲡ

ენაკიევო, (დონეცკის ოლქი), 1 ნოემბერი. (საკდესის კორ.). კოსმონავტი მფრინავის გ. ტ. ბერეგოვოის მშობლიური ქალაქის მცხოვრებნი აღტაცებით შეხვდნენ ცნობას კოსმოსური ხომალდის „სოიუზ-3“-ის ფრენის წარმატებით დამთავრების შესახებ.

ვამაყობთ, აცხადებენ ისინი, რომ სამყაროს პირველ მკვლევთა შორისაა ენაკიევოს მეტალურგიული ქარხნის ყოფილი მუშა, ქალაქის კომკავშირის, ჩვენი აეროკლუბის აღზრდილი.

გამოხატა რა ქალაქის მცხოვრებთა სურვილი, მრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა და პარტიის ენაკიევოს საქალაქო კომიტეტის ბიურომ მიიღეს გადაწყვეტილება მივნიშნებინათ გ. ტ. ბერეგოვოისათვის ქალაქ ენაკიევოს საპატიო მოქალაქის წოდება.

ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲐᲗᲘ ᲗᲕᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ

ᲨᲐᲠᲗᲣᲚᲘ გააჩაღეს რა სოციალისტური შეჯიბრება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისა და დიდი ოქტომბრის 51 წლისთავის შესახვედრად, ამიერკავკასიის რკინიგზელებმა ვადამდე, 27 ოქტომბრისათვის დაამთავრეს სახალხო-სამეურნეო ტვირთის დატვირთვისა და მიტანის ათი თვის გეგმა. ამასთან მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა შრომის ნაყოფიერების ზრდის, ტვირთზიდვის თვითღირებულების შემცირების, მოგებისა და რენტაბელობის გადიდებული გეგმები.

სახელმწიფო გეგმების და მაღალ სოციალისტურ ვალდებულებათა ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლის ავანგარდში არიან კომუნისტური შრომის კოლექტივები და დამკვრელები — წარმოების მოწინავეთა მრავალათასეული რაზმი.

● ᲩᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘᲡ რაიონის მშრომელებმა, რომლებიც ჩაბმულნი არიან საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში, პირობა გაანაღდეს. სახელმწიფოს მიეყიდა 3.613 ცენტნერი ხორცი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 3.580 ცენტნერისა, რძე — 8.146 ცენტნერი ნაცვლად 7.600 ცენტნერისა. კვერცხის მიყიდვის წლიური გეგმა შესრულდა 100,4 პროცენტით. ასევე გადაჭარბებით შესრულდა ხილის მიყიდვის წლიური გეგმა. — ამის შესახებ „კომუნისტის“ რედაქციას აცნობეს საქართველოს კპ ზესტაფონის რაიკომის პირველმა მდივანმა შ. ᲨᲔᲠᲔᲚᲐᲫᲔᲛᲐ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ მ. ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲐᲫᲔᲛ, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ს. ᲒᲝᲠᲒᲔᲖᲘᲐᲜᲛᲐ.

● ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კპ სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანმა ვ. გელაშვილმა გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას აცნობა, რომ ოლქის მშრომელებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 4.146 ცენტნერი მატყლი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 4.101 ცენტნერისა. გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე კვერცხის მოყიდვის წლიური დავალება.

● ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კპ მცხეთის რაიკომის პირველმა მდივანმა ამბ. ბ. კავთიაშვილმა, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამბ. ბ. ᲚᲐᲨᲮᲘᲐᲛ, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ამბ. ა. ᲠᲐᲨᲛᲐᲫᲔᲛ გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას აცნობეს, რომ რაიონის მშრომელებმა სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის წლიური გეგმა ვადაზე ორი თვით ადრე შეასრულეს 101 პროცენტით, რძისა — 110 პროცენტით, კვერცხისა — 104,6 პროცენტით, მატყლისა — 107,6 პროცენტით. ასევე გადაჭარბებით შეასრულეს ყველა სახეობის ტყავეულეულის დამზადების წლიური გეგმები.

მეხეთელი მშრომელები მიღწეულს არ სჯერდებიან. მათ გადაწყვიტეს სამშობლოსადმი წლიური გეგმის ბოდაკეებით მიყიდონ 3.000 ცენტნერი რძე და 600 ცენტნერი ხორცი.

ᲙᲣᲗᲜᲚᲔᲓᲘ — ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ

ᲛᲔᲢᲘ ᲑᲝᲡᲢᲜᲔᲣᲚᲘ — ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲡ

ᲐᲛ ᲑᲝᲚᲝ წლებში საქართველოში განეულია დიდი მუშაობა, რომლის მიზანია ქალაქების, საშრეწველო ცენტრების მოსახლეობისა და კურორტების საკუთარი წარმოების ბოსტნეულით მთლიანად უზრუნველყოფა. თბილისისა და რუსთავის გარშემო შექმნილია დიდი სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობანი, რომლებიც მოსახლეობისთვის ბოსტნეულის, კურძის, ხილის, რძის, ხორცისა და კვების სხვა პროდუქტების ძირითადი მომწოდებლები ჯახდნენ. მარტო გარდაბნის რაიონის საბჭოთა მეურნეობანი იძლევიან ბოსტნეულის მთელი იმ რაოდენობის მეოთხედს, რაც რესპუბლიკაში მზადდება.

მგბოსტნეობა სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ძნელი და რთული დარგია. თითქმის მთელი წლის განმავლობაში შრომობენ მიწათმოქმედნი, რომ ყოველმა ჰექტარმა უხვი მოსავალი მისცეს. ეს წელი განსაკუთრებით მძიმე იყო მათთვის. მაგრამ არახელსაყრელ კლიმატურ პირობებს დაუპირისპირეს შრომის ზუსტი ორგანიზაცია, მიწათმოქმედების კულტურა. სოფლის ათასობით მშრომელი მონაწილეობს ღონისშესანიშნავი თარიღის—ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავ შეჯიბრებაში.

ულვა რამდენიმე თვეა გრძელდება სხვადასხვა ბოსტნეულის მოსავლის აღება. ახლა მიმდინარეობს კომბოსტოს, ჭარხლის, სტაფილოს, ბოლოკის, სუფრის მწვანილის აღება. რაიონებიდან მოდის სასიხარულო ცნობები, რომ შეასრულეს სახელმწიფოსათვის ბოსტნეულის მიყიდვის წლიური გეგმები და კისრულობენ ახალ გადიდებულ ვალდებულებებს.

შესანიშნავი წარმატება მოიპოვეს გარდაბნის რაიონის მეურნეობებმა. 28 ოქტომბრისათვის მათ სახელმწიფოს მიჰყიდეს 28.388 ტონა ბოსტნეული ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 26.695 ტონისა. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი გარდაბნის კიროვის სახელობის საბჭოთა მეურნეობის, ახალი სამგორის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის, რუსთაბოლოს მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის, გარდაბნის მეხილეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის, ულიანოვკის მებოსტნეობა-მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივებმა.

პარტიის გარდაბნის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. ბექაურმა განაცხადა, რომ რაიონი წარმატებით ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას — მიჰყიდოს სახელმწიფოს 10.000 ტონა ზეგეგმითი ბოსტნეული.

წარმატებას მიაღწიეს ლაგოდეხის რაიონის სოფლის მშრომელებმა, რომლებმაც დაამზადეს 2.765 ტონა ბოსტნეული — წლიურ დავალებაზე 165 ტონით ეტი. ლაგოდეხის რაიონმა გადაუყვიტა გეგმის გადაჭარბებით მისცეს სამშობლოს 1.000 ტონა ბოსტნეული.

კარგი მაჩვენებლები აქვთ ხაშურის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებსაც, რომლებმაც სახელმწიფოს მიჰყიდეს 2.277 ტონა ბოსტნეული ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.230 ტონისა. რაიონმა ვალდებულება იკისრა დაამზადოს 1.400 ტონა ზეგეგმითი ბოსტნეული.

ორგანიზებულად იღებენ მოსავალს ბოლნისის რაიონის სოფლის მშრომელები. მათ სახელმწიფოს მიჰყიდეს 2.115 ტონა ბოსტნეული, რაც შეადგენს გეგმის 100,7 პროცენტს, და გადაწყვიტეს მიჰყიდონ კიდევ 500 ტონა ბოსტნეული.

დიდი შრომა გასწიეს უხვი მოსავლის მოსაყვანად თეთრი წყაროს რაიონის მშრომელებმა. აქ დამზადებულია 1.227 ტონა ბოსტნეული— გეგმის 102,3 პროცენტი. გრძელდება შეჯიბრება იმისათვის, რომ სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მიჰყიდონ 200 ტონა ბოსტნეული.

ბოსტნეულის დამზადების გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს და ზეგეგმითი ვალდებულებანი იკისრეს გურჯაანისა და თელავის რაიონებმა.

ამასთან მთელ რიგ რაიონებში ბოსტნეულის დამზადება ნელი ტემპებით მიმდინარეობს. ეს ეხება მარნეულის, გორის, სამტრედიის, წყალტუბოსა და ზოგიერთ სხვა რაიონს.

რაიონული პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანონები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები ისე წარმართავენ საქმეს, რომ წარმატებით შეასრულონ სახელმწიფო დავალება. მებოსტნეები ცდილობენ არ ჩამორჩნენ ჩვენს სახელოვან მეჩაიეებსა და მევენახეებს, რომლებმაც შეასრულეს თავიანთი სოციალისტური ვალდებულებანი. (საქდესი).

ᲛᲔᲒᲝᲒᲠᲣᲚᲘ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲗ

2 ნოემბერს მოსკოვიდან საშობლოში გაეგზავნა ჩეხოსლოვაკიის მეცნიერთა და ინჟინერთა დელეგაცია ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ატომური ენერგიის კომისიის თავმჯდომარის იან ნეიმანის მეთაურობით. სტუმრები ერთი კვირის განმავლობაში მოლაპარაკებას აწარმოებდნენ მშვიდობიანი მიზნით ატომური ენერგიის გამოყენების დარგში სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შემდგომი განვითარების თაობაზე.

— ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ატომური ენერგიის კომისიას, — უთხრა საკდესის კორესპონდენტს იან ნეიმანმა, — თავის მთავარ ამოცანად მიაჩნია ჩეხოსლოვაკიაში ატომური ენერგეტიკის განვითარების პრობლემების შემუშავება.

საბჭოთა კოლეგებმა სიამოვნებით შემოგვთავაზეს ი.ავისი დახმარება ჩეხოსლოვაკიისათვის ატომური ენერგეტიკის დიდმნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტაში.

ᲡᲐᲥᲚᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

ᲛᲘᲤᲠᲘᲜᲐᲕᲡ „ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲘ-250“

1968 წლის 31 ოქტომბერს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოსი-250“. თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საკდესმა გამოაცხადა 1962 წლის 16 მარტს.

გარდა სამეცნიერო აპარატურისა, თანამგზავრზე არის: ორბიტის ელემენტების ზუსტად გასაზომი რადიოსისტემა, რადიოტელემეტრიული სისტემა, რომელიც დედამიწაზე გადმოსცემს მონაცემებს ხელსაწყოებისა და სამეცნიერო აპარატურის მუშაობის შესახებ. თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

ᲛᲘᲤᲠᲘᲜᲐᲕᲡ „ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲘ-251“

1968 წლის 31 ოქტომბერს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოსი-251“. თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საკდესმა გამოაცხადა 1962 წლის 16 მარტს.

ᲛᲘᲤᲠᲘᲜᲐᲕᲡ „ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲘ-252“

1968 წლის 1 ნოემბერს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოსი-252“. თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საკდესმა გამოაცხადა 1962 წლის 16 მარტს.

თანამგზავრი გაყვანილია ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია: მიმოქცევის პერიოდი — 112,5 წუთი, მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 2.172 კილომეტრი; მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 538 კილომეტრი; ორბიტის დახრილობა — 61,9 გრადუსი.

გარდა სამეცნიერო აპარატურისა, თანამგზავრზე არის ორბიტის ელემენტების ზუსტად გასაზომი რადიოსისტემა და რადიოტელემეტრიული სისტემა, რომელიც დედამიწაზე გადმოსცემს მონაცემებს ხელსაწყოებისა და სამეცნიერო აპარატურის მუშაობის შესახებ.

პროგრამით გათვალისწინებული მეცნიერული კვლევა შესრულებულია.

ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲔᲡᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ

31 ოქტომბერს თბილისში გაიმართა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მეოთხე პლენუმი. პლენუმმა განიხილა საკითხი, თუ როგორ მონაწილეობენ რესპუბლიკის პროფკავშირები სახალხო მეურნეობის ტექნიკური პროგრესის განხორციელებაში.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიის თავმჯდომარემ ბ. მიქელაძემ.

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ვ. ᲚᲝᲠᲗᲙᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ, მეცნიერულ-ტექნიკურ საზოგადოებათა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ბ. ᲗᲣᲛᲐᲜᲘᲫᲔ, აჭარის საოლქო პროფსაბჭოს თავმჯდომარე მ. ᲫᲘᲜᲬᲨᲕᲘᲚᲘ, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის გამმყობი, საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორი Ო. ᲮᲐᲨᲣᲠᲐᲫᲔ, რესპუბლიკის მუზეუმი ბრწყინვლობის მინისტრი მ. ᲩᲮᲘᲙᲕᲘᲫᲔ, საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ᲚᲐᲦᲘᲫᲔ, სამთო მექანიკის, სასარგებლო წიაღისეულთა დამუშავებისა და აფეთქების ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი Ჯ. ᲫᲘᲫᲘᲨᲕᲘᲚᲘ, სოფლის მეურნეობისა და დამუშავების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ბ. ᲑᲐᲒᲣᲜᲘᲐ, ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ მეტალურგიული ქარხნის დირექტორი Ლ. ᲑᲐᲠᲐᲫᲔᲜᲘᲫᲔ, კვების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე Ლ. ᲑᲣᲡᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

მომხსენებელმა და კამათში გამოსულებმა აღნიშნეს, რომ, ასრულებენ რა სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებს, რომლებიც განსაზღვრავ ტექნიკური პროგრესის მთავარი მიმართულებანი, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა გარკვეული წარმატებანი მოიპოვეს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ხელახალ ტექნიკურ აღჭურვაში. მარტო შარშან რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში დაინერგა 33 მექანიზებული ნაკადური და ავტომატური ხაზი, კომპლექსურად მექანიზებულია 22 უბანი და ხუთი სამაქრო. ამ სიახლეთა ეკონომიურმა ეფექტმა შეადგინა 2.250 ათასი მანეთი. მიღწეულია შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდა, გაუჯობესებულია ჯრედუქციის ხარისხი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲝᲤᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ

◆

რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციები უფრო ღრმად ჩადებიან წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის სრულყოფის საკითხებს, გაუჯობესეს მეცნიერულ-ტექნიკურ საზოგადოებათა და გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების საქმიანობის ხელმძღვანელობა, უფრო ფართოდ იყენებენ საზოგადოებრივი საკონსტრუქტორო ბიუროებს, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და ლაბორატორიების, ეკონომიური ანალიზის ბიუროებისა და შრომელთა სხვა შემოქმედებითი გაერთიანებების ინიციატივას. ამ ბოლო დროს მეცნიერულ-ტექნიკურმა საზოგადოებრიობამ შეიმუშავა 45 ათასზე მეტი რეკომენდაცია, რომელთაგან ბევრს დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. რესპუბლიკის გამომგონებლებმა და რაციონალიზატორებმა ხუთწლედის ორი წელიწადნახევრის მანძილზე წარმოებაში დანერგეს 47 ათასზე მეტი წინადადება და 123 გამოგონება, რომლებმაც სახელმწიფოს დაახლოებით 56 მილიონი მანეთი დაუზოგეს.

ამასთან პლენუმზე აღინიშნა, რომ სერიოზული ნაკლოვანებანია მთელი რიგი პროფკავშირული ორგანიზაციების, მეცნიერულ-ტექნიკური საზოგადოების საბჭოებისა და გამგეობების, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოებების ორგანიზაციების საქმიანობაში. ჯერჯერობით საზოგადოებრივ კონტროლს არ უწევენ გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების, ახალი ტექნიკის დანერგვის. მაგალითად, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ახალი ტექნიკის დანერგვის. გეგმა შესრულდა მხოლოდ 64,4 პროცენტით.

კარგად ვერ არის ახალი მოწყობილობის დადგმის საქმე. წლის დამდეგისათვის რესპუბლიკაში დაუდგმელი ან დამონტაჟების პროცესში იყო დაახლოებით 76 მილიონი მანეთის მოწყობილობა.

ზოგიერთი პროფკავშირული ორგანიზაცია, გამომგონებლებთა და რაციონალიზატორთა, მეცნიერულ-ტექნიკურ საზოგადოებათა საბჭოები სუსტად, ამბავენ მუშა-მოსამსახურეთა ფართო მასებს ტექნიკურ შემოქმედებაში, სასთანადოდ არ ზრუნავენ ტექნიკური წრეებისა და სექციების მატერიალური ბაზის გაფართოებისათვის, მასობრივ-ტექნიკური პროპაგანდის გაშლისათვის.

უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს რა საქართველოს პროფკავშირების მონაწილეობას რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპის დაჩქარებაში, საქართველოს პროფსაბჭოს პლენუმმა „სახალხო მეურნეობის ტექნიკური პროგრესის განხორციელებაში პროფკავშირთა მონაწილეობის შესახებ“ საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულების მიზნით მიიღო დადგენილება და მოიწონა ღონისძიებანი ამ ამოცანების გადაწყვეტაში პროფკავშირთა მონაწილეობის შესახებ.

რესპუბლიკის პროფკავშირთა XXIII ყრილობის შემდეგ საქართველოს პროფსაბჭოს ეროვნულმა მუშაობის შესახებ პლენუმზე ინფორმაცია გააკეთა პროფსაბჭოს თავმჯდომარემ შ. ᲙᲘᲠᲙᲘᲫᲔ. (საქდესი).

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲠᲔᲕᲘᲖᲘᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐᲨᲘ

1 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ გაიმართა სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის სხდომა.

სხდომაზე მოისმინეს ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ᲒᲐ. ᲤᲐ. ᲡᲘᲖᲝᲕᲘᲡ ინფორმაცია, თუ რა მუშაობა გასწია კომისიამ წლის მანძილზე, დამტკიცეს კომისიის საქმიანობის გეგმა მომდევნო პერიოდისათვის.

გ. ფ. სიზოვმა განაცხადა, რომ შარშან კომისიამ განიხილა პარტიული ბიუჯეტის პროექტი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველობის ფინანსური ანგარიშები ბიუჯეტის შესრულების შესახებ, შეამოწმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებებსა და ვაზით „პრავდის“ რედაქციაში შემოსულ მშრომელთა წერილებზე, განცხადებებსა და საჩივრებზე მუშაობის მდგომარეობა. თავის ყოველდღიურ საქმიანობაში ცენტრალური სარევიზიო კომისია მუდმივ დახმარებას უწევდა მოიკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიებს, სამხრეთ, საოლქო, საქალაქო და რაიონული პარტიული ორგანიზაციებს სარევიზიო კომისიებს. ამის შედეგად მნიშვნელოვნად გაუქტიურდა ამ სარევიზიო კომისიების საქმიანობა.

Გ. ᲤᲐ. სიზოვის ინფორმაციის გამო გამართულ კამათში გამოვიდნენ სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრები Ა. ᲤᲐ. ᲠᲣᲛᲘᲐᲜᲪᲔᲕᲐ — „ეკონომიკისა და გაზეთს“ მთავარი რედაქტორი, Ო. Ო. ᲙᲐᲪᲘᲝᲕᲘ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების განყოფილების გამგე, Ვ. Ვ. ᲣᲒᲐᲩᲐᲜᲘ — სკკპ ევროპის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, Ი. Ვ. ᲨᲘᲠᲝᲕᲘ — სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, Ვ. Ა. ᲛᲝᲡᲙᲕᲘᲩᲘᲕᲘ — „საბჭოთა როსიის“ მთავარი რედაქტორი, Გ. Ა. ᲪᲐᲠᲔᲒᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲐᲜᲪᲘᲐ — სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი, Ნ. Ო. ᲙᲝᲚᲔᲡᲝᲕᲘ — სკკპ სმოლენსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი. მათ გამოთქვეს წინადადებანი, რომელთა მიზანია სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის საქმიანობის შემდგომი გაძლიერება. (საკდესი).

მთავარია სიახლე, ძიება

ასე ვიყენებთ თვალსაჩინო აგიტაციას

თანამედროვე ეტაპზე საგრძნობლად იზრდება თვალსაჩინოების, როგორც ხედვითი შთაგონების, როლი და მნიშვნელობა. პლაკატის, ლოზუნგის, ტრანსპარანტის, სტენდის, დიაგრამის, საპატიო დფიფსა და თვალსაჩინოების სხვა საშუალებათა იდეურ-პოლიტიკური აზრი შეხამებული მის ლამაზ, მსუბუქ და ესთეტიკურად სასიამოვნო გარეგნულ ფორმასთან. ეს მას აგიტაციის სხვა ფორმებისაგან განსხვავებით ერთგვარ უპირატესობას აძლევს და საგრძნობლად ზრდის მასებზე მისი ზემოქმედების ძალას. ამიტომ თბილისის პირველი მაისის რაიონის პარტიული ორგანიზაცია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ამ ფორმას.

თვალსაჩინო აგიტაციის ახალ საშუალებათა ძიება, მათი პოლიტიკური აზრისა და მიმზიდველი გარეგნული ფორმების უთიერთშეხამება, კომპლექსის დადგენა უდიდესი შემოქმედებითი საქმეა, რასაც ჭიქრი, მხატვრული გემოვნება, მდიდარი ფანტაზია, შესრულების კულტურა, ცოდნის ფართო ჰორიზონტი და დიდი პოლიტიკური ალღო სჭირდება. სწორედ ამის გათვალისწინებით და თვალსაჩინო აგიტაციის სანიმუშოდ მოწყობის მიზნით პარტიის რაიკომის იდეოლოგიურ კომისიასთან საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილია თვალსაჩინო აგიტაციის საბჭო, ხოლო პირველად პარტიულ ორგანიზაციებში — შესაბამისი კომისიები და სექციები. საბჭოს შემადგენლობაში შედიან წარმოების მოწინავენი, პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკები, განათლების, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები. თვალსაჩინო აგიტაციის რაიონული საბჭო, რომელსაც საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ლ. მამალაძე ხელმძღვანელობს, მიზნად ისახავს რაიონის ქუჩების, სკვერების, ხედებისა და ვიტრინების კომპლექსურ გაფორმებაში ხელმძღვანელობასა და დახმარებას ადგილებზე შექმნილი თვალსაჩინო აგიტაციის კომისიებისა და სექციებისადმი. საბჭოს თავის მუშაობაში დიდ დახმარებას უწევს აგრეთვე ესთეტიკის საკავშირო საკვლევი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ ხანებში ამ საბჭოს მიერ შემუშავებული გეგმის მიხედვით ბევრი რამ საინტერესო და საგულისხმო გაკეთდა რაიონის ტერიტორიაზე. დიდი ესთეტიკური გემოვნებით იქნა გაფორმებული პლეხანოვისა და წერეთლის პროსპექტები, დიღმის საცხოვრებელი მიკრორაიონის ხეივანი, საწარმო-დაწესებულებათა ფასადები. შეიცვალა აგრეთვე თითქმის ყველა მოძველებული ვიტრინა და შუქრეკლამები.

საწარმოთა ტერიტორიაზე, ცალკეულ უბნებსა და საამქროებში შეხვედრით სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირების, შრომის ნაყოფიერების ზრდის ამსახველ დიაგრამებსა და დაფებს, კედლის გაზეთები და საბრძოლო „ელვა“ ფურცლები ფართო პროპაგანდას უწევენ წარმოების მოწინავეთა შრომის მეთოდებს, მკაცრად აკრიტიკებენ ჩამორჩენილთა.

მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ თვალსაჩინოების კომბინატის მიერ შემუშავებული კომპლექსური გეგმით განხორციელდა თვალსაჩინოების ბევრ ახალ და ორიგინალურ საშუალებათა პრაქტიკული გამოყენება, რაშიაც გამოხატულებას პოულობს ეკონომიკისა და შრომის მეცნიერული ორგანიზაციის საკითხები. კომბინატის ახალ ეკონომიურ რეფორმაზე გადასვლამ გამოიწვია მასში დიდი ახსნაგანმარტებითი მუშაობის საჭიროება, რეფორმის დიდი მასტიმულირებელი ძალისა და ეფექტურობის პროპაგანდის აუცილებლობა. „ეკონომიური ფურცელი“, რომელიც კომბინატის დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ მეთოდზე გადასვლის ერთი წლისთავზე გამოვიდა, ფართო განმარტებას იძლეოდა საწარმოში რეფორმის კეთილმყოფელი გავლენის შესახებ. აღსანიშნავია, რომ ამჟამად თვალსაჩინო აგიტაციის ეს სახე უფრო კონკრეტული გახდა და ახალი ეკონომიური რეფორმით გამოწვეული პროგრესი ცნობილი ხდება კომბინატის მშრომელთათვის უოველი თვის მიხედვით. ამასთან მეტად საინტერესო ციფრობრივ მონაცემებში ასახავს პოულობს არა მარტო კომბინატის საერთო შედეგები, არამედ თვითეული საწარმოს, საამქროს, ცვლისა და ბრიგადის ეკონომიური მაჩვენებლები.

ამ მიმართულებით განსაკუთრებით აღსანიშნავია „თბილგვირაბმშენის“ სამმართველოს პარტიული ორგანიზაციის თაოსნობა. თვალსაჩინო აგიტაციის მომზეობა კომისიამ შეიმუშავა საწარმოო მაჩვენებლების დფის სრულიად ახალი და ორიგინალური სქემა, რომელიც საშუალებას იძლევა ყოველდღიურად შეჯამდეს ცალკეული ბრიგადების საქმიანობა. შემდეგ ეს შედეგები ჯამდება ჯერ დღეებისა და დეკადების, ბოლოს კი კვარტალებისა და სამეურნეო წლის მიხედვით. საწარმოო მაჩვენებლებია ასეთი დაფები, რომლებიც ყველა სამშენებლო უბნის შესახვლელთან, თვითეულ გვირაბგამყვანს სამუშაო დღის დაწყების წინ მოგონების წინადღის შედეგებს და განაწყობს მათ ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

ახლა რაიონის ბევრ საწარმოში ნახავთ ახლებურად შემუშავებულ სოციალისტურ ვალდებულებათა სტენდებს, რომლებიც განლაგებული არიან საწარმოთა ცენტრალურ ადგილებში. ისინი თვეებს, კვარტალებისა და სამეურნეო წლის მიხედვით აჯამებენ სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეულ წარმატებებს. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ წმარიშვილი და ა. ლაზიდი ხელმძღვანელობენ, ლენინური ბრიგადის საპატიო სახელის მოსაპოვებლად იბრძვიან. მათ სამშენებლო უბანს ამშენებს წარწერა: „აქ მუშაობს ლენინური ბრიგადის სახელწოდებისათვის მებრძოლი ბრიგადა“.

შრომითი დიდების პროპაგანდას ემსახურება აგრეთვე რაიონის საწარმოთა ტერიტორიების ცენტრალურ ადგილებში აღმართული სპეციალური დფები, რომელთა კონსტრუქციები შემუშავებულ იქნა უკანასკნელ ხანებში და განახლდა ფორმისა და შინაარსის გათვალისწინებით შერჩეულ ადგილებზე. ამ საპატიო დფების სიახლეა ის, რომ თუ წინათ მოწინავეთა ფოტოსურათების ქვემოთ მარტოოდენ მათს გვარს, სახელსა და პროფესიას ეწერებოდთ, ახლა ამის დამატებით წაიკითხავთ წარწერას, თუ რისთვის და რა გზით დაიმსახურეს მათ ესოდენ დიდი პატივი.

ჩვენთან ახლა საპატიო დფები არა მარტო საერთო-საქართველო და საფბრიკო მასშტაბით კეთდება, არამედ ცალკეული უბნების მიხედვითაც. ბევრმა პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ თვალსაჩინო აგიტაციის რაიონული საბჭოს რჩევით საპატიო დფების პარალელურად დააწესა აგრეთვე საპატიო წიგნები, რომლებშიც პერიოდულად შეაქვთ განსაკუთრებული საწარმოო მაჩვენებლების მქონე მოწინავეთა გვარები და ფოტოსურათები. ეს წიგნი საწარმოში ინახება როგორც ისტორიული დოკუმენტი და წმარიშვილი და ა. ლაზიდი ხელმძღვანელობენ, ლენინური ბრიგადის საპატიო სახელის მოსაპოვებლად იბრძვიან. მათ სამშენებლო უბანს ამშენებს წარწერა: „აქ მუშაობს ლენინური ბრიგადის სახელწოდებისათვის მებრძოლი ბრიგადა“.

შრომითი დიდების პროპაგანდას ემსახურება აგრეთვე რაიონის საწარმოთა ტერიტორიების ცენტრალურ ადგილებში აღმართული სპეციალური დფები, რომელთა კონსტრუქციები შემუშავებულ იქნა უკანასკნელ ხანებში და განახლდა ფორმისა და შინაარსის გათვალისწინებით შერჩეულ ადგილებზე. ამ საპატიო დფების სიახლეა ის, რომ თუ წინათ მოწინავეთა ფოტოსურათების ქვემოთ მარტოოდენ მათს გვარს, სახელსა და პროფესიას ეწერებოდთ, ახლა ამის დამატებით წაიკითხავთ წარწერას, თუ რისთვის და რა გზით დაიმსახურეს მათ ესოდენ დიდი პატივი.

ჩვენთან ახლა საპატიო დფები არა მარტო საერთო-საქართველო და საფბრიკო მასშტაბით კეთდება, არამედ ცალკეული უბნების მიხედვითაც. ბევრმა პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ თვალსაჩინო აგიტაციის რაიონული საბჭოს რჩევით საპატიო დფების პარალელურად დააწესა აგრეთვე საპატიო წიგნები, რომლებშიც პერიოდულად შეაქვთ განსაკუთრებული საწარმოო მაჩვენებლების მქონე მოწინავეთა გვარები და ფოტოსურათები. ეს წიგნი საწარმოში ინახება როგორც ისტორიული დოკუმენტი და

მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ ტერიტორიის ცენტრში ალმართული სტენდი სათაურით: „ვინ გამარჯვა სოციალისტურ შეჯიბრებაში“, რომლის გაგრძელებას შემდეგ შეხვედრით ცალკეულ საამქროში. „თბილგვირაბმშენის“ სამმართველოს ცალკეულ სამშენებლო უბანზე ნახავთ სტენდებს, რომლებიც მოგვითხრობენ, თუ ვინ გამარჯვა ცალკეული პროფესიების მიხედვით, ვინ გახდა უახლოეს ხანში კომუნისტური შრომის დამკვრელი, რომელმა ბრიგადამ მოიპოვა კომუნისტური შრომის საპატიო სახელი, ვინ გახდა ოსტატი.

გვირაბგამყვანთა შორის ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრება ასახვას პოულობს თვალსაჩინო აგიტაციაში. ამჟამად „თბილგვირაბმშენის“ 102 ბრიგადიდან 56 კომუნისტურია, ხოლო ბრიგადები, რომლებსაც კ. ლიუბავსკი, გ. ქირჩება მომავალ თაობებს წინაპართა მიერ განვლილი გზის შესასწავლად.

ყურადღების ღირსია აგრეთვე ქალაქის სამგზავრო ტრანსპორტის მუზეუმი, რომელშიც ასახულია თბილისის ტრანსპორტის განვითარების დიდი გზა. აქვე ნახავთ იმ სახელოვან ადამიანთა ფოტოებს, ვინც დიდი ამაგი დასდო ქალაქის ტრანსპორტის განვითარებას დაუღალავი და ენერგიული შრომით.

ჩვენი ეროვნული სიამაყის — თბილისის მეტროპოლიტენის მშენებელთა სახელოვან საქმეებს ასახავს „თბილგვირაბმშენის“ მემატიანე, რომელიც სამართლიანად ატარებს გმირული ისტორიის მემატიანის სახელწოდებას.

კომუნისტური შრომისათვის დამახასიათებელი ჩვევების დანერგვასა და გამომუშავებას ემსახურება რაიონის საწარმოთა ცალკეულ უბნებზე გაკრული მრავალფეროვანი ტრანსპარანტები. მაგალითად, „თბილგვირაბმშენის“ სამმართველოს, საკონდატრო კომბინატის, ქალაქის სამგზავრო ტრანსპორტის სამმართველოსა და მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ ცალკეულ საამქროებსა და უბნებზე შეხვდებით ასეთ ტრანსპარანტებს: „იცით თუ არა თქვენ, რომ კომბინატის ყველა საქმოვი შენ-ქალის ერთი წუთით მოცდენა იწვევს 2,2 კილოგრამი ნართის დაკარგვას!“, ან კიდევ: „იცით თუ არა თქვენ, რომ 100 კილოგრამი II ხარისხის ნართის გამოშვებით ნრთველი იღებს 4 მანეთითა და 12 კაპიკით ნაკლებ ხელფასს, ხოლო ამავე რაოდენობის III ხარისხის ნართის გამოშვებით კი 5 მანეთითა და 22 კაპიკით ნაკლებს?“.

თითქმის ყველა საწარმოში შეიქმნა შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვის სტენდი და რაციონალიზატორ-გამომგონებელთა კუთხეები მათ მიერ დანერგილი წინადადებების ეკონომიური ეფექტის მითითებით და რაციონალიზატორ-გამომგონებელთა სურათებით.

ბევრ საწარმოში მოწყობილია აგრეთვე კუთხეები პროპაგანდისტებისა და პოლიტინფორმატორებისათვის. არის აგრეთვე მოწინავე სპორტსმენთა, სწავლის ფრიადოსანთა, ნიჭიერ თვითმქმედთა ფოტოების გამოფენა. მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ და ქალაქის სამგზავრო ტრანსპორტის პარტიული კომიტეტების ინიციატივით შეიქმნა „მოწინავე მშობელთა და შვილთა სტენდები“.

საინტერესო ფაქტების შესახებ ფოვეთხრობენ აგრეთვე კომუნიზმის მშენებელთა მორალური კოდექსის პროპაგანდის ამსახველი თვალსაჩინო აგიტაციის მრავალფეროვანი საშუალებები. დიდი პოპულარობით სარგებლობენ სამამულო ომის მონაწილეთა სტენდები და „საბრძოლო დიდების ოთახები“, რომლებიც საწარმოთა გარდა თითქმის ყველა სკოლასა და სასწავლებლებია შექმნილი.

რაიონის საწარმო-დაწესებულებებში დიდი აღიარება ჰპოვა სატრულ-იუმორისტულმა თვალსაჩინოებამ (იუმორისტული გაზეთები, სახალხო კონტროლის ფურცლები, „ელვა“, „გაზეთები“ და სხვ.).

პარტიული ორგანიზაციები მაქსიმალურად იყენებენ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ყველა ფორმას ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის, მისი მარადუკვნობი მოძღვრების პროპაგანდის საქმეში. ასევე ითქმის თვალსაჩინო საშუალებებზეც. მეტმა წილმა პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა მოაწყეს ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი სტენდები, ხოლო უახლოეს ბანში ისინი ყველგან ექნებათ.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად ჩვენი მუშაობა მიმართულია იმ ხარვეზებისა და ნაკლოვანებების აღმოფხვრისაკენ, რომლებიც ჯერ კიდევ არის თვალსაჩინო აგიტაციის გამოყენების პრაქტიკაში.

პირველი, რასაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, ეს არის თვალსაჩინოების ზემოქმედებითი გავლენის ზრდისათვის მუდმივი ზრუნვა და ამისათვის სათანადო ფორმებისა და საშუალებების ძიება. აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით თანაბრად როდი ზრუნავს ყველა პარტიული ორგანიზაცია. ზოგან თვალსაჩინოებისათვის ისევ მოძველებულ, ტექნიკურად და მორალურად გაცვეთილ საშუალებს იყენებენ. ამის გამო თვალსაჩინოებას აკლია მიმზიდველობა და შემტევი ხასიათი. მეორე, ეს გახლავთ თვალსაჩინოების წარმოდგენის ფორმა. ცხადია, საწარმოს გარეგან ფორმას, საამქროს ეზოს, ფასადს, კეთილმოწყობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს შრომითი განწყობის შექმნისათვის. სწორედ ამ ფორმას უნდა შეესაბამებოდეს თვალსაჩინოების ყოველგვარი საშუალებაც. ორივე ერთად კი უნდა ქმნიდეს ერთიან ანსამბლს. მაგრამ ზოგჯერ ადგილი აქვს თვალსაჩინოების გადატვირთვას უგემოვნო, ძნელად გასაგები საშუალებებით.

თვალსაჩინოების ისე მოწყობას, როცა ერთმანეთს თანაბრად ეწინააღმდეგება ფორმა და შინაარსი, მრავალმხრივ მომზადებული ინტელექტუალური აქტივისტები სჭირდება. ამიტომ პარტიულმა ორგანიზაციამ უნდა გამოსახოს ნიჭიერ აქტივისტთა ბრიგადა, რომელიც შეიქმნის ყოველმხრივ სრულყოფილ თვალსაჩინოებას.

თვალსაჩინო აგიტაცია უდიდესი აღმზრდელობითი საშუალებაა, მაგრამ მას სჭირდება რაციონალური, გეგმაზომიერი და მიზანდასახული გამოყენება. ეს კი შესაძლებელია მოვლენებისა და მდგომარეობის შესახებ ჭეშმარიტი, ფორმების მუდმივი შემოქმედებითი ძიების გზით.

ო. გორდელაძე.

საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის პირველი მდივნის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახვათა უფლება ქალაქებისთვის

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ... ხელოვნებათა მუდმივი კომისიის სხდომა. [illegible] კომისიის თავმჯდომარის მოადგილის დეპუტატ ვ. გელაშვილის ინფორმაცია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში ზოგიერთ ცვლილებათა და დამატებათა შეტანის და სატრანსპორტო საშუალებებით სარგებლობის წესებისა და ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების ქუჩებში მოძრაობის წესების დარღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გაძლიერების თაობაზე ბრძანებულებათა პროექტების შესახებ.

კომისიამ ამ საკითხების გამო მიღებული რეკომენდაციები განსახილველად შეიტანა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

საკითხების განხილვისას კამათში მონაწილეობა მიიღეს მოდმიერი კომისიის წევრებმა დეპუტატებმა: **ზ. რატიანმა, ბ. ულენტმა, მ. ბიბილაშვილმა.** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის თავმჯდომარემ **მ. ლომიძემ,** საქართველოს სს რესპუბლიკის პროკურორის მოადგილემ **გ. ბიწაძემ,** საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ **ს. ქაჯაიამ,** საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრის მოადგილემ **გ. თოდრიამ** და სხვებმა.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„როგორ შევიძინე მაცივარი“

რედაქციას უპასუხებენ საქართველოს სსრ ვაჭრობის და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროები

გაზეთ „კომუნისტის“ მიმდინარე წლის 28 ივნისის ნომერში დაიბეჭდა ფელეტონი — „როგორ შევიძინე მაცივარი“, რომელშიც. მხილებული იყო ვაჭრობის ქსელსა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სისტემაში არსებული დარღვევები და ნაკლოვანებანი. ფელეტონთან დაკავშირებით რედაქციამ ასობით წერილი მიიღო. მკითხველები იწონებდნენ ფელეტონს და გვწერდნენ, რომ მასში მეტად მტკივნეული და საბრძოლოდ საკითხია დასმული, ამასთან ბევრ ავტორს თავის მხრივ მოყავდა ვაჭრობისა და მომსახურების წესების დარღვევის ფაქტები.

მკითხველთა ეს შენიშვნები და მოსაზრებანი წერილების მიმოხილვის სახით დაიბეჭდა „კომუნისტის“ 7 ივლისის ნომერში.

ფელეტონი და მასთან დაკავშირებით ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებული სხვა მასალები განიხილეს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ.

საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ვ. ჯინჯიხავა რედაქციას წერს:

გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ ფელეტონში „როგორ შევიძინე მაცივარი“ ძირითადად სწორად არის ასახული ჩვენი რესპუბლიკის ვაჭრობის ქსელში არსებული მდგომარეობა.

უდავოა, რომ საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ცალკეულ საწარმოებში ჯერ კიდევ არის ვაჭრობის წესების დარღვევის შემთხვევები — მომხმარებელთა მოტყუება წონა-ზომასა და ფასებში, მაღალი მოთხოვნილების საქონლის გადამალვა, სახელმწიფო საცალო ფასების დამახინჯება და ა. შ. ფაქტია, რომ ბევრი სავაჭრო საწარმოს სანიტარულ-ტექნიკური მდგომარეობა, არადამაკმაყოფილებელია და მომსახურების კულტურის დონეც ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე.

ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით ამჟამად რესპუბლიკაში მნიმეფელოვანი ღონისძიებები ხორციელდება.

ამას წინათ სახალხო კონტროლის კომიტეტმა, რესპუბლიკის პროფსაბჭომ, ვაჭრობის სამინისტრომ და ცეკავშირის გამგეობამ მოაწყეს საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ყველა საწარმოს ერთობლივი შემოწმება, რომლის მიზანი იყო ამ საწარმოებში წესრიგის დამყარება.

ვაჭრობის პროგრესული ფორმების დანერგვა, რაც რესპუბლიკაში ხორციელდება, აგრეთვე ხელს უწყობს ვაჭრობის წესების დარღვევათა აღმოფხვრას და მოსახლეობის მომსახურების კულტურის ამაღლებას.

„განხორციელებულ ღონისძიებათა მიუხედავად ვაჭრობის წესების დარღვევები სავაჭრო ქსელში ჯერ კიდევ გრძელდება.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს საქონლის ხარისხისა და ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექციის მთავრმა სამმართველომ ეოაწყვეს საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებში 5.823 შემოწმება. დადგენილი იქნა 1.516 დარღვევა (მომხმარებელთა მოტყუება წონაში, ფასებსა და ანგარიშში, სახელმწიფო საცალო ფასების დამახინჯება. საქონელზე არასწორი ფასების გამოცხადება, მაღალი მოთხოვნილების საქონლის გადამალვა და ა. შ).

ამ დარღვევების გამო მასალები 15 კაცის შესახებ გადაეცა პროკურატურის ორგანოებს მათი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის მიზნით, 194 კაცი ვანთავისუფლებულ იქნა სამუშაოდან და სხვების დაედოთ მკაცრი დისციპლინარული სასჯელი.

სამინისტროს კოლეგია სავსებით ეთანხმება გაზეთის იმ მოსაზრებას, რომ არც ერთი მომხმარებელი არ უნდა იჩენდეს უყურადღებობას და არ უნდა ბიდიოდეს დასაბუთებაზე, როცა მას ხურდას არ უბრუნებენ ან არასწორად უწონიან და უზომავენ საქონელს. ვინც ასე იქცევა, გაკიცხვის ღირსია, ხოლო ვინც იჩენს სათანადო პრინციპულობას და არავის აძლევს უფლებას დაარღვიოს მოქმედი კანონსდებლობა, იგი დიდ დახმარებას გვიწევს საკვაჭრო საწარმოების წესრიგის დამყარებაში.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო ყველა ღონისძიებას იხმარს იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს კადრებიან მუშაობა, აღმოიფხვრას ვაჭრობაში დარღვევები და ბოროტმოქმედება, განუხრელად ამაღლდეს მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების კულტურა.

საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს კოლეგიის დადგენილებაში, რომელიც რედაქციამ მიიღო, ნათქვამია:

გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ ფელეტონთან დაკავშირით საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს მიერ გამოყოფილმა კომისიამ შეამოწმა ქ. თბილისის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოში შემავალი ობიექტები.

გამოირკვა, რომ წერილში აღნიშნული დარღვევები სინამდვილეს შეეფერება. მომსახურების ისეთ დარგებში, როგორიც არის ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის კერვა და შეკეთება, რთული ტექნიკისა და სამეურნეო ნივთების შეკეთება, აბანო-საპარიკმახეროებში, სამრეცხაოებში, ქიმწმენდის საწარმოებში, ავტოპროფილაქტორიუმებსა და ავტოსადგომებზე ადგილი აქვს მომსახურების წესების უხეშ დარღვევებს, შეკვეთების მიღებას ქმითრების გამოუწერლად და ფულის ზედმეტად გადახდევინების ფაქტებს, რაც სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს მოსახლეობაში.

სამინისტროს კოლეგიის მიერ მიღებულ დადგენილებაში დასახულია კონკრეტული ღონისძიებანი იმ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რომლებიც გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ ფელეტონშია მხილებული.

სოციალისტური საკუთრების დაცვა დატაცებისაგან ყველა ორგანიზაციის, საწარმო-დაწესებულებათა, თვითეული საბჭოთა მოქალაქის უმუალო მოვალეობაა.

ვ. მაისურაძე,

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე

სოციალისტური საკუთრების დაცვის საკითხი XXIII ყრილობის დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში დიდ წარმატებებს მიაღწიეს. ისინი დროულად ასრულებენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გეგმებს. ასეა წელსაც. ჩაის, ეუკრძნის და სხვა პროდუქტების დამზადების გეგმები დიდი გადამეტებით შესრულდა. მათ მხარი აუბეს მეკარტოფილეობის რაიონების მშრომელებმაც, წელს კარგად იშრომეს, მოიყვანეს კარტოფილის უხვი მოსავალი. მაღალხარისხოვანი კარტოფილის წარმოებასა და დამზადებაში განსაკუთრებით ისახელეს თავი ახალციხისა და დმანისის რაიონებმა.

თბილისის, აგრეთვე რუსთავისა და სხვა სამრეწველო ქალაქებისა და კურორტების ბოსტნეულით, კარტოფილით, ხილით და სხვა პროდუქტებით უზრუნველყოფის საქმე უკანასკნელ წლებში შესამჩნევად გაუმჯობესდა. მიუხედავად ამისა, ამ საქმეში ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებები, რომლებიც ძირითადად იმით არის გამოწვეული, რომ ზოგიერთმა ორგანიზაციებმა, რომლებსაც პროდუქტების გაზიდვა ევალებოდათ, მხარი ვერ აუბეს სოფლის მშრომელებს.

„საქკურორტვაჭრობას“ (დირექტორი ლ. კვინიკაძე) წალის რაიონიდან 200 ტონა კარტოფილი უნდა გაეტანა. ჯერჯერობით 99 ტონის გატანა მოახერხა. ახალქალაქის რაიონიდან ნაცვლად 470 ტონისა 311 ტონა კარტოფილი გაზიდა.

საქართველოს ქვაბახშირის კომბინატის მუშათა მომარაგების სამმართველოს (უფროსი ს. ლეფაცა) ახალქალაქის რაიონიდან 700 ტონა კარტოფილი უნდა გაეტანა, გატანილი აქვს მხოლოდ 120 ტონა. როგორც ამ სამმართველოში განაცხადეს, ამის სანაცვლოდ გორის ოლქიდან შემოუტანიათ 1.400 ტონა კარტოფილი.

დაგეგმილი რაოდენობის კარტოფილის გატანას აკავებენ აგრეთვე რუსთავის, ქუთაისის, ფოთის სავაჭრო ორგანიზაციები, თბილისაზკვება, საქჰიდრომშენებლობის მუშათა მომარაგების სამმართველო, ცეკავშირი და სხვ. კარტოფილი უხვად არის. ეს ორგანიზაციები ამ მეტად საჭირო პროდუქტის დროულად გაზიდვაზე რატომ არ ფიქრობენ?

რესპუბლიკაში ბოსტნეულიც საკმაოდ არის, მაგრამ ზოგიერთი ორგანიზაციის ქუშათა მომარაგების სამმართველოები, აგრეთვე სავაჭრო ორგანიზაციები რატომღაც შეუწყნარებლად აკავებენ მშრომელთა მომარაგებას ამ საჭირო პროდუქტებით. რუსთავის საქალაქო საბჭოს ვაჭრობის განყოფილებას (გამგე ნ. რუხაძე), უშუალოდ კი სასადილოების ტრესტს (მმართველი ა. შურღაია) 480 ტონა ბოსტნეული უნდა გაეტანა. ჯერჯერობით მხოლოდ 155 ტონის გატანა მოახერხა.

საქართველოს საგზაო რესტორნებისა და ბუფეტების ტრესტს 20 ოქტომბრისათვის 400 ტონა ბოსტნეულიდან მხოლოდ 50 ტონა ბოსტნეული ჰქონდა გატანილი. ამ მხრივ საქმე არც ამერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს მუშათა მომარაგების სამმართველოშია (უფროსი ა. რთველაძე) კარგად. ქიაურის მარგანეტრესის მუშათა მომარაგების სამმართველომ კი 1.000 ტონიდან მხოლოდ 60 ტონა ბოსტნეული გაიტანა. აი როგორ ზრუნავენ ამ ორგანიზაციათა მესვეურები ბოსტნეულით მშრომელთა მომარაგებისათვის.

მშრომელთა სუფრაზე უხვად უნდა იყოს რესპუბლიკის სოფლის მშრომელთა გარჯის ნაყოფი — კარტოფილი და ბოსტნეული. საჭიროა ზემოთ დასახელებულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა ქმედითი ღონისძიებანი დასახონ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და მოკლე დროში გაიტანონ მათთვის დაგეგმილი კარტოფილი და ბოსტნეული.

სოციალისტური საკუთრების დაცვა წმიდათა-წმიდა საქმეა!

ვ. მაისურაძე,

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე

სოციალისტური საკუთრების დაცვა დატაცებისაგან ყველა ორგანიზაციის, საწარმო-დაწესებულებათა, თვითეული საბჭოთა მოქალაქის უმუალო მოვალეობაა. სკკპ XXIII ყრილობამ მაღალი პრინციპულობით განხილა ჩვენი ქვეყნის განვითარების ყველაზე დიდმნიშვნელოვანი ეკონომიური და პოლიტიკური პრობლემები, დასახა კომუნისტური მშენებლობის გზით საბჭოთა ხალხის შემდგომი წინსვლის პერსპექტივები. ყრილობის მიზითვებანი ითვალისწინებენ სოციალისტური კანონიერების ყოვლმხრივ განმტკიცებას სახელმწიფო მმართველობისა და სამეურნეო საქმიანობის ყველა სფეროში.

სოციალისტური საკუთრების დაცვის საპატიო მისია კი უშუალოდ აკისრიათ იუსტიციის ორგანოებს, რომლებიც ფხიზლად დგანან სოციალისტური საკუთრების დაცვის სადარაჯოზე. მათი უშუალო მოვალეობა ის არის, რომ ყველაფერი დაინახონ, შეამჩნიონ, გაერკვნენ და მიიღონ სამართლიანი, სწორი გადაწყვეტილებანი, რომლებიც მარტო დამნაშავეებს კი არ დასჯის, არამედ სხვასაც დაუკარგავს დანაშაულის ჩადენის ხალისს.

ცნობილია, რომ ვ. ი. ლენინს ჩვენი სახელმწიფოს ყველაზე საშიშ მტრებად მიაჩნდა სოციალისტური საკუთრების, სახალხო დოვლათის დაფლეთვა და გამფლანგველები. ვ. ი. ლენინი პროკურატურასა და სასამართლო ორგანოს სპეციალურ მითითებებს აძლევდა გადაჭრით გაეძლიერებინათ ბრძოლა დამტაცებელთა წინააღმდეგ, სწრაფად გაერჩიათ აღძრული საქმეები, უმკაცრესად დაესაჯათ დამნაშავენი და განაჩენები გამოექვეყნებინათ პრესაში. დიდი ბელადი მოითხოვდა, რომ „არც ერთი ასმანეთიანი, რომელიც უმართებულოდ ჩაჯარდა ვისმე ხელში, არ ასცდეს უკანვე სახელმწიფოს ხაზინას“.

სოციალისტური საკუთრების, სახალხო დოვლათის დაცვის საკითხებს ვ. ი. ლენინი არაერთხელ დაბრუნებია. კერძოდ 1921 წელს შედგენილ დოკუმენტში „შრომისა და თავდაცვის საბჭოს განაწესი ადგილობრივი დაწესებულებებისათვის“ შემუშავებულია გაფლანგვა-დატაცებისა და მისი ხელმეშეწყობი პირობების შესწავლის მთელი პროგრამა.

აქვე უნდა გვახსოვდეს, რომ სოციალისტური საკუთრების, სახალხო დოვლათის დატაცების ხელისშემწყობი პირობების გამოვლინებისა და შესწავლისათვის შედეგიანი იქნება, თუ ეს მუშაობა იწარმოებს სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების მიხედვით.

როგორც წესი, სოციალისტური საკუთრების ხელმყოფნი იყენებენ მტაცებლობის მრავალ ხერხს, ერთიანდებიან და ქმნიან ორგანიზებულ ჯგუფებს, რომლებშიც არცთუ იშვიათად ითრევენ საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, ბუღალტერ-რევიზორებს, ე. ი. ისეთ პირებს, ვინც თვითონ არის მოვალე კონტროლს უწევდეს მატერიალურად პასუხისმგებელ პირთა საქმიანობას. აქედან ცხადია, რომ ზოგჯერ ეს აძნელებს ამ დანაშაულებრივი ჯგუფების გამოაშკარავებასა და გამოვლინებას.

ყოველივე ამას ზოგჯერ ისიც უწყობს ხელს, რომ სამრეწველ

მსოფლიოს დეკანოზთა
საკგენტოები გვაცყობინებენ

საუკეთესო ხელოვნება

დაგმეს აპარტეიდის პოლიტიკა

ნიუ-იორკი, 1 ნოემბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეოთხე კომიტეტმა 89 ხმის უმრავლესობით (9 წინააღმდეგ, 15 თავი შეიკავა) მიიღო რეზოლუცია, რომლითაც გადაჭრით გმობს ოდეზიის რასისტულ რეჟიმსა და მის დასავლელ მფარველებს. რეზოლუცია შეიცავს ავრეთვე რეკომენდაციებს, რომელთა მიზანია ამ უკანონო რეჟიმის ლიკვიდაცია და ზიმბაბვეს ხალხისათვის თვითგამორკვევის უფლების მინიჭება.

ამ რეზოლუციის პროექტს დასამტკიცებლად წარუდგენენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეას.

მეოთხე კომიტეტი ურჩევს გენერალურ ასამბლეას უშიშროების საბჭოს ყურადღება მიაპყროს იმას, რომ ეკონომიური სანქციები უნდა გავრცელდეს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასა და პორტუგალიაზე, რომლებიც არ ასრულებენ საბჭოს გადაწყვეტილებებს როდეზიის საკითხებზე და ეკონომიურ და სამხედრო ლაბარებას უწევენ სმიტის რეჟიმს.

კომიტეტი ურჩევს იმგლისის მთავრობას გამოიყენოს ძალა ამ უკანონო რეჟიმის ლიკვიდაციისათვის და გმობს იმ მთავრობებს, რომლებსაც სოლსბერის მმართველებთან კავშირი აქვთ პოლიტიკური, ეკონომიური და სხვა ურთიერთობა.

რეზოლუცია შეიცავს მოთხოვნას, რომ დაუყოვნებლივ გაიყვანონ როდეზიიდან სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები, რომლებიც მონაწილეობენ ზიმბაბვეს ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობაში, გაათავისუფლონ პატიროიტები, რომლებიც რასისტებმა საპყრობილეებში ჩაპყარეს, აგრეთვე დაეხმარონ ზიმბაბვეს ხალხს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

ᲕᲘᲜ ᲨᲔᲛᲪᲓᲔᲑᲐ ᲗᲔᲗᲠ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ?

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜ

ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ, რომელსაც შეიდობა შინ ვერ დაუმყარებია, არ შეიძლება ანდოთ საზღვაოგაოთ მშვიდობის უზრუნველყოფის ამოცანა...

უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე აგვავსეს პროგრამებით უმუშევართათვის, პროგრამებით ქალაქებისათვის, პროგრამებით ღარიბებისათვის, მაგრამ ამ პროგრამებმა დაგვიტოვეს ახალი ომედის გაკოუებმა, ძალადობისა და წარუმატებლობის ნაყოფი...

ეს სიტყვები არც კომუნისტსა და არც მეტ-ნაკლებად პროგრესულ ამერიკელს ეკუთვნის. ამას ლაპარაკობს პრეზიდენტობის კანდიდატი რესპუბლიკელთა პარტიიდან რიჩარდ ნიქსონი. „ვეკ ძიოთ სიმართლე, ვილაპარაკოთ სამართლე და ვიცხოვროთ სიმართლის მიხედვით“ — იხეკ ნიქსონი! დღეს იგი თავს „რეფორმიორად და ინტერრაციონალისტად“ აცხადებს. რა გაიწყობა, ამას ეპოქა მოითხოვს. მაგრამ ეს „ინტერრაციონალიზმი“ ნიშნავს მხოლოდ ე. წ. „თავისუფალი საბაჟაოს“ ძალების გაერთიანებას კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ნიქსონი მოითხოვს „ტოტალურ მეცადინეობას და ტოტალურ მობილიზაციას!“ როგორც ხედავთ „მოდური“ ინტერრაციონალიზმი და რეფორმიორობა“ მოქცეულია თითქმის ფაშისტური ფრაზეოლოგიის ჩარჩოებში.

მას არ აწუხებს თავმდაბლობის გრძნობა („ჩვენ გავიმარჯვებთ, რადგან ისეთ მიზეზს ვისახავთ, როგორიც ამერიკას სჭირდება; ჩვენ გავიმარჯვებთ. რადგანაც აღვადგენთ ერთიანობას, რომელიც ახლანდელმა მთავრობამ დაარღვია“). იგი დარწმუნებულია, რომ მისი საკუთარი პროგრამა გადაიქცევა მთელი ამერიკელი ხალხის პროგრამად მომავალი სულ ცოტა სამი ათეული წლის მანძილზე („არჩევანი, რომელსაც ჩვენ 1968 წელს გავაკეთებთ, განსაზღვრავს არა მარტო ამერიკის მომავალს, არამედ გადაწყვეტს მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და თავისუფლების საკითხს XX საუკუნის უკანასკნელ მესამედში“); იგი ფიცულობს, თეოდორ რუზველტისა და დეიტ ეიზენჰაუერის სახელებს და აცხადებს, რომ მისი ამოცანა უფრო რთული იქნება, ვიდრე ჯორჯ ვაშინგტონისა და ავრამ ლინკოლნისა. იგი აცხადებს, რომ ბოლოს მოუღებს „გრძელ ბნელ ღამეს ამერიკაში“.

უფრო თავშეკავებული მოჩანს ჰუბერტ ჰემფრი, დემოკრატიული პარტიის კანდიდატი. ეს კანდიდატიც არის. ჰემფრი, როგორც ვიცეპრეზიდენტი ეპასუხს აგებს კონსონის პოლიტიკის მარცხისათვის. ბუნებრივია, რომ სიტყვები „მარცხი“, „წარუმატებლობა“ მის ლექსიკონში არა გვხვდება. მასაც ჰყავს თავისი „წმინდანები“ (ჰარი ტრუმენი, ადლაი სტივენსონი, ლინდონ ჯონსონი). იგი ცდილობს ისარგებლოს ფრანკლინ რუზველტისა და ჯონ კენედის პოპულარობით. უსირცხვილოდ აცხადებს, რომ განახორციელებს „მარტინ ლუთერ კინგის ოცნებასა და რობერტ კენედის პერსპექტივას“. მაგრამ ვერც ჰემფრი მალავს იმ ფაქტს, რომ ამერიკა განიცდის ღრმა კრიზისს (ამ ტერმინს იგი ვერ გაურბის) და იმისათვის, რომ როგორმე შეაღაფაზოს არსებული ვითარება, ლაპარაკობს ჯონსონის მთავრობის მიერ რაღაც „იმედების გაღვიძებაზე“ და მოითხოვს „კრიზისის ყოველი მომენტის შემოქმედების მომენტად გადაქცევას“. იგი ამბობს: „მე მტკიცედ ვაცხადებ: უფესრიგობა, ხანძრები, სროლა, ძარცვა, ნარკოტიკებით ვაჭრობა და კანონის უგულებელყოფა — ეს ანარქიის ავანგარდია, და ჩვენ მათ ბოლო უნდა მოვუღოთ“. მაგრამ იგი არაფერს არ ამბობს იმის თაობაზე, თუ უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე რა გაკეთა ამისათვის როგორც ვიცე-პრეზიდენტმა.

ასეთია ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობის პოსტზე ორი მთავარი კანდიდატის ავტოპორტრეტი.

ომისშემდგომ პერიოდში შეერთებულმა შტატებმა მოაკვშრეებისათვის სამხედრო დახმარების სახით დახარჯეს 150 მილიარდი დოლარი. ამას აკეთებდნენ რესპუბლიკელებიც და დემოკრატებიც.

ამერიკელ ჯარისკაცთა რაოდენობამ ვიეტნამში 549.500, ხოლო ევროპაში — 300.000 კაცს მიაღწია. ამას ტაშს უკრავენ ორივე პარტიის წარმომადგენლები, რომელთაც შესანიშნავად ესმით, რომ პარაზში წარმოებული მოლაპარაკებები მხოლოდ წინასაარჩევნო პოლიტიკური ბუტაფორიაა და სხვა არაფერი. როგორც ცნობილია, ჯონსონის მთავრობა ჯიუტად მოითხოვს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისაგან „ლაპარაკს“ ანალოგიურ „ლაპარაკს“ ეწეოდა ჰიტლერიც ჩეხოსლოვაკიის, ავსტრიისა და ბელგიის „ანექსიის“ ერთ-ერთ ეტაპზე. ეს „ლაპარაკი“ ბოლოს ომით დასრულდა. ეს „ლაპარაკი“ ბოლოს ომით ვერ დასრულდა ამერიკისა და ვიეტნამის ურთიერთობაში. ეს „ლაპარაკი“ ბოლოს ომით ვერ დასრულდა ამერიკისა და ევროპის ურთიერთობაში. ეს „ლაპარაკი“ ბოლოს ომით ვერ დასრულდა ამერიკისა და ამერიკ

ლეილა

ფოტო ე. პესოვისა.

ფოტოგამოფენიდან „თბილისი და თბილისელები“.

სადღესასწაულო ვაჭრობა

რიგ ხედებიან საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის მუშაკები დიდი ოქტომბრის 51-ე წლისთავს, როგორ იქნება ორგანიზებული ვაჭრობა დღესასწაულისწინა და სადღესასწაულო დღეებში? საქმესის კორესპონდენტის ამ კითხვებს უპასუხა საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრმა ბ. ოსიხაძემ.

საქონელბრუნვის ცხრა თვის გეგმა მთლიანად რესპუბლიკაში შესრულდა 100,3 პროცენტით, მოსახლეობას მიეყიდა 130 მილიონი მანეთით მეტი დღრეულების საქონელი, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში.

ვაჭრობის მარტო თბილისის საწარმოთა საწყობებში შეიგსო ახალი საქონლით. ეს არის ორი ათასი დეფიციტური „საბჭოთა შამპანური“ ლამაზ კოლოფებში, ამდენივე კონიაკი, ათასობით დეფიციტური სამარკო, ღვინო, ყველადღიურად სასურსათო მაღაზიები იღებენ ათასობით ძეხვეულისა და ხორცეულის ასარჩევს. მოსახლეობისათვის შემოტანილია დიდძალი ფრინველი, თევზი, კონსერვი. ახალი ბოსტნეული, კარტოფილი, ხილი. რესტორანებისა და სასადილოების ტრესტები მოაწყობენ გამოფენა-ვაჭრობას. აქ გაიყიდება ფართო ასორტიმენტის ტორტი, ტკბილეულეული, ნამცხვარი, კულინარული ნაწარმი.

მუშაობას შეუდგნენ სავაჭრო საწარმოთა დაფასოების სამკერთა კოლექტივები. მათ კოლოფებში უნდა ჩაიწყონ საკონდიტრო ნაწარმის ასი ათასი სადღესასწაულო ასარჩევი.

საწყობების, სამაცივრების, საწარმოებისა და ტრანსპორტის მუშაობა ისეა დაგეგმილი, რომ უზრუნველყონ სავაჭრო ქსელის შეუფერხებელი მომარაგება სურსათითა და სამრეწველო საქონლით.

თბილისის რესტორნებში „სალხინოში“, „ისნიდში“, „საქართველოში“, „რუსთავში“, აგრეთვე რესპუბლიკის სანაზოგადოებრივი კვების სხვა საწარმოებში მოეწყობა ოჯახური. ამხანაგური სადამოები. გარდა ამისა, რესტორანები მსურველთა მიაწვდიან ყოველივე საჭიროს სუფრის გასაწყობად, მიიღებენ საყვარელი კერძის დამზადების შეკვეთებს.

დაწესებულია სავაჭრო საწარმოთა მუშაობის რეჟიმი სადღესასწაულო და დღესასწაულისწინა დღეებში. 4, 5, 6 ნოემბერს სასურსათო მაღაზიები იმუშავებენ 24 საათამდე. სამრეწველო საქონლისა — 21 საათამდე, დიდი სასურსათო და პურის მაღაზიები, ბაზრები ამ დღეებში ჩვეულებრივ იმუშავებენ.

„კოხტა“

გარდაბანი. (საკ. კორ.) რუსთავში ამენდა ლამაზი ნაგებობა „კოხტა“. შენობის პირველი სართული დაკავებული აქვს სამრეწველო, სასურსათო და სამეურნეო მაღაზიებს.

მეორე სართულზეა რესტორანი „კოხტა“.

დიდი მოგება

ზესტაფონი. (საკ. კორ.). ქალაქ ზესტაფონის მკვიდრმა დ. ჩუბინიძემ ცენტრალურ შემნაზველ სალაროში ახლახან წარადგინა 1966 წლის გამოშვების სამპროცენტიანი სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი სესხის 20-მანეთიანი ობლიგაცია, რომელმაც 2,500 მანეთი მოგო.

ფელეტონი

საცდელი ბაზა თუ საწველი ფურის?!..

იყო და არის ერთი კაცი — სახელად ლონგინოზ, გვარად ნიკორაძე.

იყო და წლინახევრის „შვებულების“ შემდეგ ახლაც განაგრძობს მუშაობას ქუთაისის მეცხრეშემეობის ზონალური საცდელი ნაკვეთის სადგურის ექსპერიმენტულ ბაზის უფროს აგრონომად.

მართალია, უფროს აგრონომს უმაღლესი აგრონომიული განათლება არ გააჩნია, მაგრამ ეს პირველი ცოდვა თავიდანვე შეუნდეს — „არ ცოდნა არცოდვაოო“.

ისიც მართალია, ვიდრე ქუთაისში საცდელი ბაზის ხელმძღვანელობას ჩაბარებდნენ, ამ კაცს მარნეულის რაიონში, კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ყოფნისას, სახელმწიფო ფულის ბითვისებისათვის ოთხი წლის პატიმრობა ჰქონდა მოსჯილი.

ამ ცოდვის შესანდობარიც დიდი ხნის წინათ დაილია.

მაგრამ აქ, ქუთაისში, ახალმა ცოდვებმა იჩინა თავი.

ექსპერიმენტულ ბაზაში ძირითადი სამუშაოები თავმინებებული იყო, ღია ცის ქვეშ ეყარა ტრაქტორები და სხვა მანქანა-იარაღები, ხეირიანად არ ამუშავებდნენ თუთის საცდელ ნაკვეთებს, და, პირიქით, დამწვარს მდეღარეს ასხამდნენ — ნაკვეთებში ბაზის თანამშრომლები თაეიანთ ყანებს თესავდნენ და თუთის ნარგავებს თავიანთი პირუტყვით აპარტახებდნენ.

ლ. ნიკორაძემ ბაზაში საკუთარი მეურნეობა მოაწყო, ძროხები გაიჩინა და ბაზის ხარჯზე კვებავდა. რაც შეეხება ძოვებას, პირუტყვის მოვლა-კასეირნებას, წველას და რძის ნაწარმის რეალიზაციას, ყველაფერ ამას „შეთავსებით“ მეჯინიბე ასრულებდა.

ერთი სატყვეთ, საცდელი ბაზა მისმა ხელმძღვანელმა ლ. ნიკორაძემ საწველ ფურად აქცია და სიმბოლურად საკუთარ ფურსაც აქ დაუდო ბინა.

ყოველივე ამის გამო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორის 1967 წლის 25 იანვრის ბრძანებით ლ. ნიკორაძე სრულიად კანონიერად უნდა განთავისუფლებულიყო სამუშაოდან.

— განთავისუფლება განთავისუფლებად უნდა დარჩეს. ამას გვერდი არ შეეწევა. — უთხრა ნიკორაძეს ზონალური სადგურის დირექტორმა კირილე ებანოიძემ. მაგრამ არა ზემოდან ბრძანებით, არამედ შენნვე განცხადებით.

და იმავე წუთს ზონალური სადგურის დირექტორმა ლ. ნიკორაძის ჯერ კიდევ მელანშეუშრეტელ განცხადებას წააწერა: „განთავისუფლდეს თანახმად მისი განცხადებისა“.

— წადი, ძმაო, და პური ჭამე! პენსიის აქმე მოიწყე! დმერთმა იცოდეს, რაც შემეძლო, გავიკეთე, — გზა დაულოცა დირექტორმა ლ. ნიკორაძეს.

წავიდა ლ. ნიკორაძე, მიადგა სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებას და მოხუცებულობის გამო 1967 წლის 22 იანვრიდან სამუდამოდ სოლიდური პენსიაც დაენიშნა.

ბი, ისევ სასტიკი საყვედურები უკანასკნელი გაყოფთხილებით, სამუშაოდან მოხსნის მუქარით.

და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ დ. ბერეჩიკიძე გასაქანს არ აძლევდა სახელმწიფო საკუთრებისადმი „ხელგაშლილ“ თანამშრომლებს.

გავიდა თვეები, და დირექტორმა კ. ებანოიძემ შეცვალა ბრძანება ნიკორაძის სამუშაოდან პირადი განცხადების საფუძველზე განთავისუფლების შესახებ და ახალი ბრძანება სწორედ ისე ჩამოაყალიბა, როგორადაც ნიკორაძე განთავისუფლებული იყო ჯერ კიდევ 1967 წლის 25 იანვარს ინსტიტუტის რექტორის ბრძანებით.

მკითხველი ალბათ იფიქრებს, დირექტორს შეცდომა ახლა მაინც გამოუსწორებიაო. მაგრამ სინამდვილეში ასე როდია. კ. ებანოიძემ ამჯერად წინასწარგანზრახული „შეცდომა“ დაუშვა. თუმცა კარგად იცოდა, რომ მუშაკის სამუშაოდან განთავისუფლებაზე პროფკავშირული ორგანიზაციის თანხმობა იყო საჭირო, განზრახ არ გააკეთა ეს. რითაც ლ. ნიკორაძეს გზა გაუხსნა აღდგენისათვის.

ასე მოვიდა 1968 წლის ივნისი. ახლა ლ. ნიკორაძემ სამუშაოზე აღდგენის შესახებ განცხადებით მიმართა ქუთაისის სახალხო სასამართლოს.

სახალხო სასამართლომ იმით იხელმძღვანელა, რომ ლ. ნიკორაძის განთავისუფლების საკითხი, როგორც უკვე ვთქვით, შეთანხმებული არ იყო პროფკავშირულ ორგანიზაციასთან (ამასთან სასამართლო სხდომაზე თვითონ დირექტორი კ. ებანოიძე ლ. ნიკორაძეს თავგამოდებით იცავდა), ყოფილი უფროსი აგრონომი აღადგინა და 10 იელისს ამმასრულებელი ფურცელიც ჩაბარა.

თავის მხრივ კ. ებანოიძემაც ოპერატიულობა გამოიჩინა და იმავე 10 იელისს გამაცდურის ანაზღაურებით ლ. ნიკორაძე სამუშაოზე აღადგინა.

რაკი წლინახევრის „შვებულე-

ლ. ნიკორაძის ნაცვლად ინსტიტუტის რექტორის ბრძანებით ექსპერიმენტული ბაზის უფროს აგრონომად დაინიშნა 33 წლის სტაჟის მქონე გამოცდილი სპეციალისტი დავით ბერეჩიკიძე.

მეურნის ხელით მოეკიდა საქმეს დ. ბერეჩიკიძე. მაგრამ ძნელი იყო ამ ქაოსში ერთბაშად დაბრუნარებინა წესრიგი. ბაზის ყოფილი უფროსი აგრონომის ლ. ნიკორაძის ხელგაშლილობით წამოამებული ზოგიერთი თანამშრომელი, ცოტა არ იყოს, ვერ შეეგუა მომთხოვნ უფროსს.

ზონალური სადგურის დირექტორს კ. ებანოიძესაც არ მოეწონა მართალი კაცი და მოიხდომა მისი თავიდან მოშორება, სათავეში ჩაუდგა განაწყენებულ პირებს. დირექტორის კარნახით დაიწყო ბერეჩიკიძის მიმართ საჩივრების წერა. გამოიყო კომისიები. ამას მოჰყვა დირექტორის ღვარძლიანი ბრძანებები, საყვედურები და სასტიკი საყვედურ-

ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐ

ᲤᲘᲗᲔᲚᲘ ᲠᲕᲔᲣᲚᲘ

პატიკო კვარაცხელია, ოჩამჩირის რაიონის სოფელ ილორის საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე, სკოლაში მიეშურებოდა. რკინიგზის ლიანდაგზე რომ გადადიოდა, გატეხილი რელსი დაინახა და მაშინვე გაიფიქრა, ამან ხომ შეიძლება მატარებლის მარცხი გამოიწვიოსო.

ფიქრის დრო აღარ იყო. საავარიო უბანს თბილისი-ხობუმის სამგზავრო მატარებელი უახლოვდებოდა. პატიკოს უკვე შემოეხმა მისი ხმაური. რაღე უნდა იღონოს. პატიკომ საჩქაროდ ამოიტაცა ჩანთიდან წითელი რვეული. მაღლა ასწია და მატარებლისაკენ გაიქცა.

წითელი ფერი! რკინიგზის ტრანსპორტის ყველა მუშაკმა იცის, რომ ეს საშიშროების ნიშანია და საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება მატარებლის გასაჩერებლად. მემანქანემ ელმავლის კბილიდან დაინახა წითელი რვეული და აღლვებული მოსწავლე, სასწრაფოდ დაამუხრუჭა და საშინი ადგილიდან რამდენიმე მეტრზე გაიჩერა მატარებელი.

— რა ამბავია? რატომ ასე სასწრაფოდ გაჩერეს მატარებელი? — ერთმანეთს ეკითხებოდნენ აღშფოთებული მგზავრები. ხოლო ამის მიზეზი რომ შეიტყვეს, ელმავალთან ნახეს მოსწავლე პატიკო კვარაცხელია და მხურვალე მადლობა გადაუხადეს. ერთმა მოხუცმა მგზავრმა გადაკოცნა და უთხრა:

— ყოჩაღ, ბიჭო! შენი მშობლები უნდა ამაყობდნენ, ნამდვილი კომკავშირელი რომ გაუზრდიხარო!

დიახ, შადლობის ღირსია მოსწავლე პატიკო კვარაცხელია. სიფხიზლისათვის, მოსაზრებულობისათვის.

სწორედ ამიტომ ამერკავკასიის რკინიგზის ხელმძღვანელობამ სოხუმის სალიანდაგო დისტანციის უფროსს მითითება მისცა 50 მანეთი ფულადი პრემიით დაჯილდოს ფხიზელი მოსწავლე, ხოლო გაზეთ „სოვეტსკაია აბხაზიას“ მეშვეობით მადლობა გადაუხადა მშობლებს და ილორის სკოლის პედაგოგებს იმისათვის, რომ მე-8 კლასის მოსწავლე პ. კვარაცხელია სამშობლოსადმი ერთგული სამსახურის სულისკვეთებით აღზარდეს.

ვ. მაისურაძე.



Ვ. Ვ. ᲐᲑᲐᲨᲛᲐᲫᲔ — ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა, დოცენტმა **ვახტანგ ვლადიმერის-ძე აბაშმაძემ** უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ნარკვევები საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან (დავით აღმაშენებელი, ყუთლუ-არსლანი“).

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს უმაღლესმა სატესტაციო კომისიამ დაამტკიცა ვ. აბაშაძისათვის იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება.

ᲧᲝᲩᲐᲦ, ᲜᲐᲜᲐ ᲓᲐ ᲐᲚᲐ!

გუშინ აზხაზადში გაიმართა ქალთა საკავშირო ჩემპიონატის უკანასკნელი ტური ჭადრაკში. მოხდა ისე, რომ ლიდერთა სამეულს თანაბარი ქულები (12,5-12,5) აღმოაჩნდა. ესენი იყვნენ **კონინკლიოვა, ... სანდრია** და **ჩაიკოვსკაია.**

რა თქმა უნდა დიდ ინტერესს იწვევდა **კონინკლიოვასა** და **ალექსანდრიას** შეხვედრა. ჩვენი თანამემამულე აღმავლობით იბრძოდა. მეტად მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა, შეაგროვა 13,5 ქულა. ჩვენი რესპუბლიკის მეორე წარმომადგენელს **ჩაიკოვსკაიას** შეხვედრა ჰქონდა **მედინინკოვასთან.** აქაც წარმატება ჩვენს მოჭადრაკეს ხვდა. მანაც 13,5 ქულა შეაგროვა.

ამრიგად, **ნანა ალექსანდრიამ** და **ალა ჩაიკოვსკაიამ** ჩემპიონატზე პირველი და მეორე ადგილი გაიყვეს. ეს საქართველოს მოჭადრაკეთა ბრწყინვალე გამარჯვებაა.

ჩემპიონის გამოსავლენიბლად **ნანა ალექსანდრიასა** და **ალა ჩაიკოვსკაიას** შორის მოეწყობა დამატებითი მატჩი ექვსი პარტიისაგან.

ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა **მაია რანნიკუ.**

ნანა ალექსანდრია

ალა ჩაიკოვსკაია

ᲤᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲔᲑᲘ

დღეს თბილისში ფინალში ექნება სსრ კავშირის პირველობას ჩოგბურთში. გამოვლინდებიან ახალი ჩემპიონები ერთეულთა ასპარეზობაში. **გუშინ** კი ცნობილი გახდა უძლიერესები წყვილთა პაექრობაში.

დიდი ინტერესი გამოიწვია ვაჟთა წყვილების ფინალურმა შეჯიბრებამ, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ **მეტრეველი-ლიხაჩოვისა** და **ლეონუს-ეგოროვის** წყვილები. ბრძოლა შეუპოვარი გამოდგა და დამთავრდა **მეტრეველისა** და **ლიხაჩოვის** გამარჯვებით 4:6, 6:4, 6:3, 6:2.

ა. **მეტრეველი** და ს. **ლიხაჩოვი** ჩვენი ქვეყნის ჩემპიონები გახდნენ ვაჟთა წყვილებში.

ქალთა წყვილებში ოქროს მედლისათვის იბრძოდნენ **მოროზოვა-ჩალკო** და **ბაკშეევა-ჩუბირინა.** წარმატება ბ. **ბაკშეევა-ვ. ჩუბირინას** წყვილს ხვდა 1:6, 6:3, 6:3 და ისინიც ჩემპიონები გახდნენ.

გუშინ ცნობილი გახდა აგრეთვე ბრინჯაოს მედლის მფლობელები ერთეულთა ასპარეზობაში. ქალთა შორის მესამე-მეოთხე ადგილებისათვის იბრძოდნენ **ისლანოვა** და **სიმსონი.** გაიმარჯვა **ისლანოვამ** 6:3, 3:6, 6:4 ვაჟთა შორის მესამე საპრიზო ადგილისათვის პაექრობა ჰქონდათ **ლიხაჩოვსა** და **ეგოროვს.** აქ წარმატება **ლიხაჩოვს** ხვდა 2:6, 6:1, 6:0, 8:6 და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

ᲪᲮᲠᲐ ᲛᲐᲢᲩᲘ

საკავშირო ჩემპიონატი ფეხბურთში „ა“ კლასის პირველი ჯგუფის გუნდებისათვის დასასრულს უახლოვდება. დღეს და ხვალ შედგება მორიგი ტურის 9 შეხვედრა.

სსრ კავშირის ჩემპიონს — **კიევის** „დინამოს“, რომელმაც ჯერ კიდევ ორი ტურით ადრე გაიხადა ოქროს მედალი, ამჯერადაც პაექრობა საკუთარ მოედანზე **ერევნის** „არარატთან“ ექნება, არანაკლებ საინტერესო იქნება შეხვედრა მოსკოვში ადგილობრივ „დინამოსა“ და **ბაკოს** „ნეფტჩის“ გუნდებს შორის. **მინსკის** დინამოელები საკუთარ მოედანზე შეხვდებიან **დონის** „**როსტოვის** არმიის სასპორტო კლუბის გუნდს. **ალმა-ატაში** ითამაშებენ „კაირატი“ და **დონეცკის** „შახტიორი“, ხოლო **ტაშკენტში** — „პახტაკორი“ და **ლუგანსკის** „ზარია“.

ჩვენი რესპუბლიკის ორივე გუნდს გასვლითი თამაშები აქვს: **თბილისის** დინამოელები დღეს **ოდესაში** შეხვდებიან „ჩერნომორეცს“, ხოლო **ქუთაისის** ტორპედოელები **ლენინგრადში** — „ზენიტს“.

ხვალ გაიმართება ორი მატჩი **კიევში**: „ვრილია სოვეტოვი“ ითამაშებს **დედაქალაქის** „სპარტაკთან“, ხოლო **მოსკოვში** პაექრობა ექნებათ ადგილობრივ „ტორპედოსა“ და „ლოკომოტივს“.

ᲪᲘᲚᲙᲐ — „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“

გუშინ მოსკოვში გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრა ფეხბურთში უმაღლესი ლიგის გუნდებისათვის. თამაშობდნენ არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბისა და კიროვაბადის „დინამოს“ გუნდები. გამმარჯვა ცსკა-მ ანგარიშით 1:0.

ᲡᲐᲥᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

მუშაობდნელი დამარცხება განიცადა „მარაკანას“ სტადიონზე ბრაზილიის ნაკრებმა მექსიკელ ფეხბურთელებთან შეხვედრაში ანგარიშით 1:2. ეს იყო უმაღლეს დონეზე ამ გუნდების მერვე მატჩი ხუთ შეხვედრაში წარმატება ბრაზილიელებს ხვდათ, ორში — მექსიკელებს, ერთი თამაში კი ფრედ დამთავრდა. უკანსკნელ მატჩში გოლების ავტორები იყვნენ: მექსიკელებიდან — დიასი და ფრაგოზოსი, ბრაზილიელებიდან — ალბერტი.

როგორც ცნობილია, უახლოეს დღეებში „მარაკანას“ სტადიონზე გაიმართება მსოფლიოსა და ბრაზილიის ნაკრებთა ამხანაგური შეხვედრა, რომელიც მიძღვნილია ბრაზილიის გუნდის მიერ პირველად მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოპოვების ათი წლისთავისადმი. ამ შეჯიბრებაზე საბჭოთა ფეხბურთელებიდან გამოვლენ ლევ იაშინი, ალბერტ შუსტერნიფი და სლავა მეტრეველი.

რსფსრ-ის ფეხბურთეთა გარეშე (საკ. კორ.). გუშინ აქ [illegible] ... ადგილობრივ „ტორპედოსა“ [illegible] ... ნაკრები გუნდები ფეხბურთში. ეს იყო უეფა-ს ტურნირის პირველი შესარჩევი მატჩი. თამაში საბჭოთა ფეხბურთელების უპირატესობით წარიმართა და დამთავრდა მათივე გამარჯვებით ანგარიშით 3:1.

ᲡᲐᲥᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲔᲑᲗᲐᲜ

ᲠᲐᲓᲘᲝ

● **ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 4 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ**

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — ქართული ხალხური სიმღერები, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 07.30 — დილის კონცერტი, 08.10 — საბჭოთა კავშირის ხალხთა სიმღერები და საცეკვაოები, 09.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 09.25 — ო. გაბიჩვაძე. მეორე სიმფონიური კვარტეტი; ა. მაჭავარიანი. რომანსები, 11.00 — უკანასკნელი ცნობები, 11.05 — ლ. ენბერი. ნაწყვეტები ოპერიდან „ტიციის გული“, 11.30 — უკანასკნელი ცნობები, 11.45 — „ეფესები საესტრადო ორკესტრისათვის, 12.10 — ნარკვევი „სეინერების ზღვაში გადიან“, 12.25 — შ. მშვილიძე. სიმფონიური პოემა „მინდია“, 13.30 — გაზეთ „პრავდის“ მოწონული სტატია, 13.40 — ქართული ხალხური სიმღერები, 14.00 — „ჩვენ შენი ვართ, რევოლუციავ!“ — მუსიკალური კომპოზიცია (მოსკოვი), 15.00 — „ვუმღერი ჩემს სამშობლოს — რესპუბლიკას ჩემს“. რადიოკომპოზიცია (მოსკოვი), 15.30 — „მეგობრების ხმები“. გადაცემა სოციალისტური ქვეყნებიდან (მოსკოვი), 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — მოსწავლეთათვის. (ციკლიდან „მოგზაურობა ცოდნის სამყაროში“. რადიოდადგმა „ულტიმატიდან სოციალზამადე“, 18.00 — უკანასკნელი ცნობები, 18.10 — ბ. ჩაიკოვსკი. რომანსები, 18.30 — რესპუბლიკური ცნობები რუსულ ენაზე, 18.45 — „ბიეთ. ოპერეტიდან ვ. ატლანტოვის შესრულებით, 19.00 — საუბარი „საუბრესონი — პარტიის რიგებში“, 19.15 — დ. ჩხეიძე. სიმფონიურ ანსამბლი კონცერტი, 19.30 — უკანასკნელი ცნობები, 19.45 — მსუბუქი მუსიკა, 20.20 — ჩვენი კომენტარი (მოსკოვი), 20.30 — ქართული ხალხური სიმღერები, 21.00 — „ძალისპირელა“, 21.15 — ა. ქუთათელი. ნაწყვეტები რომანდიდან „პირისპირ“, 21.55 — საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის და თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა თვითმოქმედების კონცერტი, 22.30 — „უკანასკნელი ცნობები, 23.30 — საესტრადო კონცერტი, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

● **ᲙᲕᲘᲠᲐ, 3 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ**

10.20 — გადაცემათა პროგრამა, 10.30 — გადაცემა ბავშვებისათვის: 1. „მაღვიძარა“ (გადმოცემა მოსკოვიდან); 2. სკოლამდელთათვის — „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად“, 3. პოლონური მრავალსერიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მარეკ პეგუსის არაჩვეულებრივი თავგადასავალი“ — I და II სერია (ქართულ ენაზე), 12.15 — კინონარკვევი, 12.30 — ახალგაზრდობისათვის — „დაკარგული ცივილიზაციის კვალდაკვალ“ — არქეოლოგიური ოლიმპიადის პირველი ტური (გადაცემა მოსკოვიდან), 13.30 — სატელევიზიო ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ (27 ოქტომბრის გადაცემის გამეორება), 14.15 — „აბწეიები ფრენას სწავლობენ“ (გადმოცემა სოჭიდან), 14.45 — „მუსიკალური კიოსკი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 15.15 — „სალავათის სპორტული ჰორიზონტები“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 15.50 — სატელევიზიო მრავალსერიანი დოკუმენტური ფილმი „ნახევარი საუკუნის მატიანე“ — 1923 წელი (ქართულ ენაზე), 16.50 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.20 — სასოფლო-სამეურნეო ფილმების ფესტივალი „მიწა ქართული“, 18.25 — გადაცემა „ერთი საათი მსოფლიოს გარშემო“, 19.25 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 19.35 — პროგრამა მეორე დღისათვის, 19.40 — „ეინოფიმაზ“, 20.10 — საესტრადო-გასართობი პროგრამა, 20.55 — ქართული მხატვრული ფილმი „შეხვედრა წარსულთან“, 22.30 — „შვიდი დღე“ — საერთაშორისო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 23.15 — „სამღერები და შემსრულებლები“ — კონცერტი (გადმოცემა მოსკოვიდან), 24.00 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან).

● **ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 4 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ**

11.00 — გადაცემათა პროგრამა, 11.05 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — სკოლამდელთათვის — „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად“, 11.30 — მხატვრული ფილმი „დავიხსომოთ ეს დღე“, 13.05 — „ნაბიჯს ვუსწორებთ კომკავშირს“. აზერბაიჯანის პიონერიის პატაკი (გადმოცემა ბაქოდან), 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.15 — კინონარკვევი, 18.25 — განცხადებები, 18.30 — პროგრამა ბავშვებისათვის: 1. „სამი გოჯი“ — საბავშვო ოპერა ჭიათურის მე-3 საშუალო სკოლის მოსწავლეთა მონაწილეობით: 2. „ჩვენ ინგლისურს ვსწავლობთ“, 19.20 — კინონარკვევი, 19.40 — სატელევიზიო ნარკვევი „ულიანოვების ოჯახი“, 20.00 — მხატვრული ფილმი „მეშვიდე თანამგზავარი“, 21.30 — ციკლიდან „ჩვენი ქალაქის თვითმოქმედება“, 22.10 — კინონარკვევი, 22.30 — — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 22.55 — პროგრამა მეორე დღისათვის, 23.00 — „თეატრალური შეხვედრები“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 00.25 — „მხოლოდ ფაქტები“ და „მუსიკალური შუქურა“ (გადმოცემა მოსკოვიდან).

● **ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 5 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ**

11.00 გადაცემათა პროგრამა, 11.05 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — სკოლამდელთათვის — „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად“, 11.30 — „თეატრალური შეხვედრები“ (4 ნოემბრის გადაცემის გაგრძელება მოსკოვიდან), 12.55 — მხატვრული ფილმი „ოქტომბერი“, 17.30 — გადაცემათა პროგრამა, 17.35 — ლექცია პოლიტეკონომიის შემსწავლელთათვის, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — კინონარკვევი, 18.20 განცხადებები და რეკლამა, 18.30 — ბავშვებისათვის: „ჩვენი კინოდარბაზი“, 19.20 — გადაცემა „საოჭტომბრო პატაკი“, 19.35 — ქართველ კომპოზიტორთა საფორტეპიანო ნაწარმოებები, 20.05 — სპორტული პროგრამა „ჩვენი სტუმრები“, 20.25 — კინონარკვევი, 20.45 — ეთერშია „ახალგაზრდობა“ — „იმ ქარიშხლიან დღეთა გმირები“, 21.10 — მხატვრული ფილმი „ოქტომბერი“, 23.50 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა.

● **ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 6 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ**

11.00 — გადაცემათა პროგრამა, 11.05 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — სკოლამდელთათვის — „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად“, 11.30 — გადაცემა „საოჭტომბრო პატაკი“ (5 ნოემბრის გადაცემის გამეორება), 11.45 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ციკლონი“ დაიწყება ღამით“, 13.00 — ბავშვებისათვის. „ტროროა“ მუსიკალური ჟურნალი (გადმოცემა ტალინიდან), 17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 51-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომის ტრანსლაცია კრემლის ყრილობათა სასახლიდან, 21.30 — გადაცემა „ჰყვება თბილისი სხვადასხვა პანაგებს“, 22.30 — ეილიამ საროიანი. „ეი, მანდ, გესმითო?!“ — საქართველოს ტელევიზიის დადგმა. პრემიერა, 23.30 — „მოამბე“. საინფორმაციო პროგრამა.

● **ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 7 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ**

09.45 — სამხედრო პარადისა და მშრომელთა დემონსტრაციის რეპორტაჟი თბილისიდან და მოსკოვიდან. დემონსტრაციის დამთავრების შემდეგ — კონცერტი „საუკეთესო სამშობლოვ“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 14.50 — კინონარკვევი, 15.20 — ქართული მხატვრული ფილმი „მაგდანას ლურჯა“, 16.30 — საღღესასწაულო მუსიკალური პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.15 — ბავშვებისათვის. საზეიმო კონცერტი, 18.05 — გადაცემა „ლენინი და თანამედროვე ბუნებისმეტყველება“, 18.25 — გადაცემა „შთაგონების წყარო“, 19.00 — „თეატრალური კონცერტი“, 19.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ალფა და ომეგა“, 20.30 — საღღესასწაულო კონცერტი (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.00 — „დრო“ — საინფორმაციო პროგრამის სპეციალური გამოშვება (გადმოცემა მოსკოვიდან), 23.15 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა — სპეციალური გამოშვება.

● **ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ, 8 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ**

10.55 — გადაცემათა პროგრამა, 11.00 — პროგრამა ბავშვებისათვის: 1. „მეგზიძარა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 2. პოლონური სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მარეკ პეგუსის არაჩვეულებრივი თავგადასავალი“ (მესამე, მეოთხე და მეხუთე სერია ქართულ ენაზე); 3. კონცერტი (თბილისის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ოვითმოქმედი კოლექტივი სტუდიაში), 13.40 — კინონარკვევი, 14.00 — ბავშვებისათვის. „ბრწყინავს ვარსკვლავი“ (გადმოცემა მოსკოვიდან). 14.30 — „ცირკის არენაზე“ (გადმოცემა მოსკოვიდან); 15.15 — „დიდება სამშობლოს“ — საზეიმო კონცერტი, 16.00 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის თასზე. „ტორპედო“ მოსკოვი — „პახტაკორი“ ტაშკენტი. ფინალი (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.30 — ცენტრალური ტელევიზიის ფერადი პროგრამა. მინიატიურების სატელევიზიო თეატრი „13 სკამი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.45 — „მხიარულთა და საზრიანთა კლუბი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.45 — „საღღესასწაულო სერპანტინები“. 22.30 — მხატვრული ფილმი „მოსალისენი“.

ᲚᲝᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲛᲕᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲣᲩᲕᲔᲜᲔᲑᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

„ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘᲡ“ ᲡᲐᲯᲔᲠᲝᲜᲘ

(